

განმარტებითი ბარათი

საქართველოს რეგლამენტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კომიტეტების საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია სრულად მოხდეს საპარლამენტო ადამიანური რესურსის გამოყენება საკანონმდებლო და პარლამენტის სხვა ფუნქციითა შესრულებაში საკომიტეტო სტადიებზე. ამისათვის პარლამენტის თავმჯდომარის გარდა ყველა საპარლამენტო თანამდებობის პირს, რომელთაც მანამდე პქონდათ აკრძალვა, ეძლევათ საშუალება გახდნენ კომიტეტის წევრები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შედის შემდეგი სახის ცვლილება და დამატება: პარლამენტის კომიტეტის წევრობაზე შეზღუდვა რცევა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან მმართველით, ხოლო მისი მოადგილეების, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების კომიტეტის შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვრტებით დადგენილი რაოდენობის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გაელენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებში ასახულ მოთხოვნებს და არ ეწინააღმდეგება მის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ლევან ვეფხვაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი – ლევან ვეფხვაძე.